პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

25 ქვეყნის ტროტიანი

1961 წ.

№ 66 (1702)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ამ დღეებში სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაზე ი. ამნიაშვილმა შესწორება შეიტანა რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. მან 800 მეტრი ნებისმიერი სტილით 13 წუთსა და 05,4 წამში გაცურა.

ამჟამად ი. ამნიაშვილი წვრთნას განაგრძობს, ემზადება მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში უძლიერესის სახელისა და საკავშირო სპარტაკიადაზე ბაქოში წასასვლელი საგზურის მოპოვებისათვის.

• • •

სურათზე: ი. ამნიაშვილი სარეკორდო გაცურვის შემდეგ.

ფოტო ა. ვართანოვისა.

თასის გათამაშება შემვიდა გადამწყვეტ ფაზაში

დასასრულს უახლოვდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. 14 კოლექტივიდან სუპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას შემორჩა მხოლოდ ოთხი გუნდი: სოფიის „აკადემიკი“, პრაღის „სლოვან ორბისი“ და საბჭოთა კავშირის ორი წამყვანი კოლექტივი — ტარტუს უსკა და რიგის ტტტ.

ნახევარფინალში კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა ძველი მეტოქეები — ესტონეთისა და ლატვიის კალათბურთელები. ეს მატჩი გაიმართა ამას წინათ რიგაში, ლატვიის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში. რიგის კალათბურთელებმა ყველაფერი გაიკეთეს იმისათვის, რათა მოეგოთ შეხვედრა დიდი ანგარიშით და განმეორებითი მატჩის წინ (რომელიც 28 მაისს ტარტუში გაიმართება) ჰქონოდათ ქულათა სოლიდური განსხვავება.

პირველი ნახევარი ლატვიელმა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 34:19. უპირატესობა მათ მხარეს იყო შეხვედრის მეორე ნახევარშიც. მატჩის საბოლოო შედეგია — 79:43 ტტტ-ს სასარგებლოდ.

• • •

როგორც ცნობილია, ვაჟთა ტურნირის პირველი მეოთხედფინალური მატჩი რიგის არმიელთა გუნდისა და ტელავივის „კანოპელს“ (იზრაელი) შორის გაიმართა ლატვიის დედაქალაქში. შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 84:60.

იზრაელის დედაქალაქს საპასუხო მატჩისათვის ეწვია რიგის არმიელთა კოლექტივი. მან ამჯერადაც დაამარცხა „კანოპელსი“ და გავიდა ნახევარფინალში, სადაც შეხვდება მადრიდის „რეალს“.

გვესაუბრება ჰეგი დულა

თბილისში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა უნგრეთის ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოს თავმჯდომარე ჰეგი დულა და საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები. უნგრელი სტუმრები გაეცნენ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, დაათვალიერეს კოლექტივები...

თბილისიდან გამგზავრების წინ ჰეგი დულა ესაუბრა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს.

კითხვა: თქვენი ჩამოსვლის მიზანი და შთაბეჭდილებები?

პასუხი: მე ადრეე ვყოფილვარ საქართველოში. ეს აყვავებული მხარე ჩემთვის ნაცნობია და მას ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ. ამჟამად ჩვენ საქართველოს ვეწვიეთ იმიტომ, რომ გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება მასობრივი მუშაობის დარგში. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საბჭოთა სტრუქტურამ, რომელიც საზოგადოებრივი საწყისების უპირატესობით აღინიშნება, საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. ჩვენ ვსწავლობთ მას, ვცდილობთ გავერკვეთ მის ყველა ნიუანსში. საბჭოთა სტრუქტურის ნაყოფს თქვენს მაგალითზე ვხედავთ. თქვენ დიდი ნაბიჯი, მე ვიტყოდი, უდიდესი ნაბიჯი გადაგიდგამთ წინ. უნგრეთის სპორტის მომავალი მოგვიწოდებს, რომ დავნერგოთ სიახლენი მასობრივი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ მხრივ ჩვენ თქვენგან ბევრი რამ შევიძინეთ.

კითხვა: რას უსურვებთ რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს?

პასუხი: ყველაფერ კარგს. ჩემოვის და სხვა უნგრელი ამხანაგებისათვის ქართველი სპორტსმენები უცხონი არ არიან. ჩვენ მათ შეხვედრივართ სარბიელზე და პირად ცხოვრებაში. ნ. დუმბაძე, ლ. სანაძე, ე. გოკიელი, ო. ქორქია, გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, ვ. რუბაშვილი, გ. ხხირტლაძე, ა. ღოღობერიძე, რ. შავლაყაძე, ა. ქორიძე და სხვები უნგრეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ჩვენ სულით და გულით გვინდა, რომ ისინი მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. ვინც სარბიელს ჩამოცილდა, მათ ვუსურვებთ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში წარმატებას, ხოლო ვინც კიდევ განაგრძობს სპორტულ ბრძოლას — ახალ გამარჯვებას. საერთოდ, ის 12 ოლიმპიური მედალი, რომელიც რომში მოიპოვეთ, მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ორჯერ გაგემრავლებინოთ.

კითხვა: როგორ გამოიყურება უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მსოფლიო პირველობის წინ?

პასუხი: ჩვენ შესარჩევი მატჩები მოვიგეთ. გდრ დავამარცხეთ — 2:0 და ჰოლანდია — 3:0. ჩილში საგზურის მისაღებად გვჭირდება ერთი ქულა. დარწმუნებული ვართ, რომ მას მოვიპოვებთ. საერთოდ, უნგრეთში ფეხბურთი თავისი განვითარების ახალ ეტაპზეა, მოვიდა შესანიშნავი შევსება და მალე უნგრეთი ფეხბურთში მსოფლიოში ჯეროვან ადგილს დაიკავებს.

ᲬᲕᲘᲛᲐ ᲐᲤᲣᲯᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

მოსკოვი. (ტელეფონით). აქ „სტალინეცის“ სტადიონზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სტუდენტ მძლეოსანთა პირველობა. მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო მელბურნისა და რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორების ი. კაშკაროვისა და ვ. ბრუმელის ორთაბრძოლა სიმაღლეზე ხტომაში.

205 სმ პირველივე ცდით დაძლია ვ. ბრუმელმა, მეორე ცდით — ი. კაშკაროვმა, შემდეგ ამ უკანასკნელისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა შემდეგი სიმაღლე — 208 სმ. პირველი ცდით დაძლია იგი ევროპის რეკორდსმენმა. ბრუმელმა შეძლო 211 სმ გადალახვაც და ძლიერმა წვიმამ შეჯიბრების მონაწილენი რამდენიმე წუთით „შეასვენა“. შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა ბრუმელის სამივე ცდა 216 სმ-ის ასაღებად. თუმცა მეოთხე, კონკურსგარეშე ცდაზე, ამ სიმაღლემაც ქედი მოიხარა მის წინაშე.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენელ ა. სამოცვეტოვის მაჩვენებელი უროს ტყორცნაში — 65 მ 33 სმ, ი. პლეშაკომ ჭოკით დასძლია 442 სმ და სხვ.

პირველი რეპეტიცია

ვარშავაში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში უპირატესობა დარჩა ოლიმპიურ ჩემპიონს რუმინელ დუმიტრესკუს, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 289 სამიზნე დაამსხვრია და 5 ქულით აჯობა საბჭოთა ოსტატს ბოგდანოვს.

მრგვალ სტენდზე სროლა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენ პოლინსკის გამარჯვებით, რომელსაც მხოლოდ 4 სამიზნე გადაურჩა 200-დან. მან ერთი ქულით აჯობა ევროპის ჩემპიონს პოპოვიჩს (რუმინეთი).

ეს იყო სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა პირველი რეპეტიცია მსოფლიო პირველობის წინ.

ᲣᲜᲓᲠᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲥᲘᲗᲐᲜ

საქართველოს ხელბურთელებთან ორი დამარცხების შემდეგ უნგრეთის ხელბურთელები ეწვივნენ აზერბაიჯანის დედაქალაქს ბაქოს, სადაც გამართეს მატჩი რესპუბლიკის ნაკრებთან. როგორც ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა ი. ისმაილოვმა შეგვატყობინა, უნგრელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს მატჩის მეორე ნახევარი, ჯერ წამოეწივნენ წინ წასულ მასპინძლებს, ხოლო შემდეგ მოიპოვეს უპირატესობა და მოიგეს შეხვედრა — 20:18.

სურათებზე: მოტოციკლისტები დისტანციაზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

★

სოხუმის მიდამოებში დაიწყო აფხაზეთის დოსაააფ-ის სპარტაკიადა ტექნიკურ სახეობებში. მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმისა და ტყვარჩელის, აგრეთვე სოხუმის, გაგრისა და გალის რაიონების სპორტსმენები. გასავლელი იყო 25 კმ.

125 კუბატურის მოცულობის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვა გაგრელმა ლ. ფრეიტაგმ — 39.40 წ. 175 კუბატურის მანქანებით რბოლაში უძლიერესი იყო სოხუმელი ვ. ივანოვი — 37.30 წ. 350 კუბატურის მოტოციკლებით შეჯიბრება დამთავრდა ა. ბატიშევის (სოხუმი) უპირატესობით. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ სოხუმელი სპორტსმენები.

★

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	7	5	0	2	18:8	10
„სპარტაკი“ მ.	6	3	3	0	11:4	9
ცსკა	7	4	1	2	18:13	9
„კირატი“ ა-ტა	7	3	3	1	9:10	9
„პატაკორი“ ტაშ.	7	3	2	2	12:13	8
„დინამო“ მ.	8	3	2	3	10:11	8
„ზენიტი“ ლ.	8	3	2	3	12:15	8
„სპარტაკი“ ერ.	8	1	5	2	13:15	7
„მოლდოვა“ კიშ.	7	2	2	3	13:12	6
„ბელარუსი“ მნ.	7	1	1	5	6:12	3
„კალევი“ ტალ.	8	0	3	5	7:16	3

• • •

მოსკოვი. 24 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „დინამო“ (მოსკოვი)-„კალევი“ (ტალინი).

მატჩის შედეგია 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

შეჯიბრება 4 დღეს გრძელდებოდა

ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა აჭარის მოსწავლეთა XIII სპარტაკიადა, რომელიც 4 დღეს მიმდინარეობდა.

მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, სროლასა და ფრენბურთში პირველი ადგილები დაიკავეს ბათუმის ნაკრებმა გუნდებმა. აჭარის მოსწავლეთა XIII სპარტაკიადაში საერთო გამარჯვება მოიპოვეს ქალაქ ბათუმის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზეა ბათუმის რაიონის, ხოლო მესამეზე — ქობულეთის გუნდი.

აჭარის მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივი, რომელიც მზადებას იწყებს, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ მოსწავლეთა XIII სპარტაკიადაში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადა გაიმართა ბათუმის ბაზებზე, კალათბურთელები თამაშობდნენ ზღვისპირა პარკის მოედნებზე, მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „დინამოს“ სტადიონზე და ა. შ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ თქვენ ხედავთ ბათუმელ თ. სოლოვიევას, რომელმაც აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გაიმარჯვა 400 მ. რბენაში. მარჯვნივ — ბათუმისა და ქობულეთის კალათბურთელთა შეხვედრა.

ფოტო და ტექსტი ბ. კვებაბჩიანისა.

მოსწავლეთა სპარტაკიადებმა უნდა გამოავლინონ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ღირსეული ცვლა!

მოსწავლეთა სპარტაკიადა წელს მეცამეტეჯერ შეეჯამებს ჩვენი ნორჩი სპორტსმენი გოგონებისა და ჭაბუკების მიღწევებს სპორტის 14 სახეობაში.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნა განზრახული გვაქვს მოვაწყოთ 17 ივნისს, სპორტის ახალ სასახლეში. ამჟამად უკვე განვლილი ეტაპია შიდასაკოლექტივო და ხარაიონო შეჯიბრებები, ახლა უკვე სპორტული სკოლების მთელი ყურადღება მიპყრობილია რაიონის ნაკრები გუნდების უკეთ დაკომპლექტებისაკენ.

ამას წინათ, თბილისში დამთავრდა მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრება წყალში ხტომაში, კარგ შედეგს მიაღწია 28-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. მარასალოვამ.

* * *

სურათზე: ვ. მარასალოვა კოშკიდან ხტომის დროს.

ფოტო ა. ვართანოვისა.

საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილთან

△

ჩვენი დიდი ღონისძიება

განათლების განყოფილებებს დროზე მიეთითათ იმ აუცილებელ დახმარებაზე, რაც მათ უნდა გაუწიონ თავიანთ გუნდებს ქ. თბილისში სპარტაკიადაზე კარგად გამოსვლისათვის.

სპარტაკიადისწინა შეჯიბრებებზე უკვე მიიღო მონაწილეობა 180.000-ზე მეტმა მოსწავლემ, რომელთაგანაც მხოლოდ 3.000-მდე ნორჩი სპორტსმენი მოიპოვებს რესპუბლიკის სპარტაკიადაზე მონაწილეობის უფლებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადა გაიმართება განსაკუთრებული კალენდარის მიხედვით, რომელიც ითვალის წინებს შეჯიბრებათა ჩატარებას ძირითადად თბილისსა და ბათუმში. სპარტაკიადის ჩატარების ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმესა და სპორტში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას. ჩვენ უნდა შევძლოთ მომავალ წელს შევასრულოთ დასახული ამოცანა: მასობრივ მუშაობაში ჩავაბათ მე-5-10 კლასების მოსწავლეთა 90 პროცენტი და მე-7-10 კლასების მთელი კონტიგენტის 15 პროცენტი.

სპარტაკიადაზე მხოლოდ ის მოსწავლეები დაიშვებიან, რომლებიც 1960-61 სასწავლო წელს ყველა საგნებში ახწრებენ.

სპორტული მომზადების შესაბამისად რესპუბლიკებისა და რაიონების მონაწილე გუნდები სამ ჯგუფად აწარმოებენ შეჯიბრებას. აქედან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები I უძლიერეს ჯგუფებში გამოდიან და 2-თვის უველა სახეობაში სავალდებულოა 25 ნაკრები გუნდის გამოყვანა. დანარჩენ რაიონებს ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის გარდა უფლება აქვთ საერთო პროგრამიდან თვით აირჩიონ სპორტის სახეობები 7 გუნდის გამოსაყვანად, ხოლო ზოგიერთ რაიონს, რომელსაც არ გააჩნია 7 გუნდის წარმოდგენის საშუალება, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს სპორტის ცალკეულ სახეობაში. ამრიგად, ჩვენ რაიონებს მივეცით საშუალება თავის სკოლებში უფრო განვითარებულ სპორტის სახეობაში გამოიყვანონ გუნდები.

მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადის შემდეგ ნაკრები გუნდების საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეირჩევა 500-ნდე მოსწავლე, რომლებიც ივარჯიშებენ ბათუმში, ბორჯომში, ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ლესელიძეში და ა. შ. გუნდების მწვრთნელებად დაინიშნებიან გამოცდილი მუშაკები.

მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ნორჩი სპორტსმენები შეეჯიბრებიან კარგად მომზადებულ და ძლიერ გუნდებს. ეს გარემოება ავალებს თვითეულ მოსწავლეს, მწვრთნელსა და მასწავლებელს მთელი სერიოზულობით მოეკიდოს ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს. საჭიროა, რომ გავითვალისწინოთ მოსკოვის VI და მინსკის ზონალურ სპარტაკიადებზე გამოვლენილი ხარვეზები და უველაფერი გავაკეთოთ მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

რესპუბლიკაში არ მოიპოვება არც ერთი ორგანიზაცია, არც ერთი მუშაკი, რომელსაც არ უხაროდეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული გუნდების გამარჯვებები. ამიტომ საჭიროა სპარტაკიადაზე გამოსული ბავშვების კარგად დაბინავება, მათი კვების ორგანიზაცია, ტრანსპორტით მომსახურება, საექიმო კონტროლის დაწესება, სპორტული ბაზების გამოყოფა და ხარისხიანი ინვენტარით მომარაგება. აი, აქეთკენ უნდა იყოს საზოგადოებრიობის დახმარება თუ გვინდა, რომ გუნდები კარგად მომზადებული შეხვდნენ VII საკავშირო სპარტაკიადას.

როგორც ცნობილი გახდა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ჩატარდება ბაქოში. ეს არის მიმდინარე წლის უველაზე დიდი და საპასუხისმგებლო კომპლექსური ღონისძიება, რომელმაც უნდა გამოავლინოს რესპუბლიკის სპორტის მომავალი.

რაიონში უძლიერესნი

ქობულეთში დამთავრდა მოსწავლეთა მე-13 რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა სპორტის 7 სახეობა.

მძლეოსნობაში უძლიერესი აღმოჩნდა მე-2 რუსული საშუალო სკოლის კოლექტივი. კალათბურთელთა შეჯიბრებაში როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა შორის გაიმარჯვეს აკ. წერეთლის სახელობის 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა.

მათივე გამარჯვებით დამთავრდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში და ფრენბურთში ვაჟთა შორის. გოგონათა შორის სპორტის ამ სახეობაში პირველი ადგილი წილად ხვდათ მეორე სკოლის მოსწავლეებს.

ჭადრაკში წარმატებით გამოვიდნენ ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს.

სროლაში გამარჯვებული გამოვიდა № 2 სკოლის გუნდი. გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზეა № 2 სკოლა.

ე. ტრაპაიძე

სოფლის მძლეოსნები სტარტზე

ორ დღეს მიმდინარეობდა ონის რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობდა 7 გუნდის 68 წარმომადგენელი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ონის 1-ლი საშ. სკოლის გუნდმა.

სოფლის სკოლებს შორის გაიმარჯვა პიპილეთის საშ. სკოლის კოლექტივმა.

დ. ბერიშვილი

გიე ნიგურიანი

დღეს ორბები შეყრილიყვნენ
დიდი უშბის ზეთავზე,
ნისლის რაშებს დაეძებდა
აქ თამარი, მზეთამზე.

შენზე იყო, მთების გმირო,
განსჯა სამარადისო:
— უკვალავი ბილიკებით
ცაში ალარ დადისო!

დაპურობილი მწვერვალები
ჭანდით იბურვიანო,
წამოდექი, შხარა გიხმობს,
გიე ნიგურიანო!

თურმე შხელდას საყიხვეში,
სადაც მუდამ ფიფქია,
ჭიხვი დადის, და რა ჭიხვი!
ოქროსრქიანს იტყვიან.

დასდევენ და ფუჭად სდევენ —
ოფლად იწურვიანო...
გზაც აებნათ, მეუშველე,
გიე ნიგურიანო!

თურმე შენ ამ სანახებში
ალი რაზე გწყალობდა,
სთხოვე ჭიხვი, მწვადი შევწვათ
უკვდავების წყაროსთან.

ერთი კათხაც გადამკარი,
გადაუარე ნაღველი,
ოქროს რქები მამულს ვუძღვნათ
მთამსვლელების სახელით.

დაპურობილი მწვერვალები
ღრუბლებს გადაყრიან,
და ქარები ლტოლვილ რაშებს
ისევ თამარს მიჰგვრიან.

კიდევ ბევრი საქმე დარჩა
მთებში, მთისგულიანო,
ბილიკები მოგიხმობენ,
გიე ნიგურიანო!

ა. გელოვანი

ლ ე ლ ო
მე-2 გვ. № 66 (1702)

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ქვეჯგუფის ლიდერი — მახარაძის „სიხარული“ თავის მინდორზე შეხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის (თბილისი) გუნდს. თამაში თავიდანვე მაღალ ტემპში წარმართა. მასპინძლები ხშირად გადიოდნენ მარცხენა ფრთიდან, სადაც კარგად იყენებდნენ დუმბაძის სწრაფ გარღვევებს. მის წინადადებებს ვერაფერი გააწყო მცველებმა. ხარბედიამ და პირველ ტაიმში ბუმბაძემ ორჯერ აიძულა მოწინააღმდეგე გუნდის მეკარე გამოეღო ბურთები ბადიდან. სტუდენტებმა შესვენების შემდეგ გაქვიტეს ერთი გოლი, მაგრამ მახარაძეებმა 11-მეტრიანი დარტყმიდან ისევ გაზარდეს ანგარიში, ხოლო ტატჩის დასასრულისათვის გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი. ანგარიში 4:1 გაიმარჯვა ლიდერმა.

△

საინტერესო, თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ბათუმში ადგილობრივ „განთიადსა“ და ქობულეთის „შუქურას“ შორის. მატჩამდე ბედი გადაწყვიტა ბათუმელი ბუბანინიძის მიერ თამაშის პირველ წუთზე გატანილმა გოლმა — 1:0.

△

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდი და ხობის „კოლხეთი“, თამაში მიმდინარეობდა ერთობ უინტერესოდ, ორივე გუნდი მოქმედებდა უინიციატივოდ და ქაოტურად. ხობელთა მიერ პირველ ტაიმში გატანილი ბურთი არმიელებმა გაათანაბრეს შესვენების შემდეგ და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

△

ქუთაისის „იმერეთისა“ და გეგეჭკორის „სალხინოს“ შეხვედრაში, რომელიც ქუთაისში შედგა, მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში. ანგარიში 4:0 „იმერეთის“ სასარგებლოდ სავსებით შეესაბამება თამაშის მსვლელობას.

△

უპირატესობა ჰქონდათ ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელებს ჩოხატაურის „ბახმაროსთან“ შეხვედრაში ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ტყიბულელებმა მიაღწიეს დიდ განსხვავებას ანგარიშში თავიანთ სასარგებლოდ — 6:1. მეორე ტაიმში მასპინძელთა კარში გატანილ იქნა კიდევ 3 „მშრალი“ ბურთი და „მეშახტემ“ ჩაიწერა მორიგი გამარჯვება ანგარიშით 9:1.

△

თელავში შედგა მატჩი ადგილობრივ „კოლმეურნესა“ და ჭიათურის „მაღაროელს“ შორის. პირველი ტაიმი დამთავრდა ჭიათურელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:1, ისინი სულ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო, რის შემდეგ თელაველებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2. მატჩის დასასრულამდე მოწინააღმდეგეთა კარში გატანილ იქნა თითო ბურთი და თამაშში ფიქსირებულ იქნა ფრე — 3:3.

△

პირველი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე გათამაშებაში ადიგენის „მექანიზატორმა“, რომელმაც თავის მინდორზე მიიღო სოხუმის „დინამო“. ეს ერთი ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა ი. რუხაძემ.

△

II ქვეჯგუფის ლიდერი „გურია“ (ლანჩხუთი) თამაშობდა ახალციხეში ადგილობრივი „მესხეთის“ წინააღმდეგ. სტუმრებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისში, მაგრამ შემდგომში თამაში გათანაბრდა და მალე შეტევაზე გადავიდნენ მესხეთელები. 39-ე წუთზე ახალციხელთა თავდამსხმელი ნ. ცაგარეიშვილი სწრაფად გავიდა მცველთა შორის და გახსნა ანგარიში — 1:0. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგ ლანჩხუთელები კვლავ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ „მესხეთის“ დაცვა კარგად გაუმკლავდა ამ შეტევებს. მალე ინიციატივამ კვლავ მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა. ბერიძემ და წილოსანმა გაიტანეს თითო გოლი და ახალციხის გუნდმა მოიპოვა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება ანგარიშით 3:0.

△

უშედეგოდ დამთავრდა ზუგდიდის „ოდიშისა“ და რუსთავის „სპარტაკის“ შეხვედრის პირველი ნახევარი. შემდგომში ზუგდიდელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, გაიტანეს ორი ბურთი და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

△

წარუმატებლად გამოდის მიმდინარე „გათამაშებაში თბილისის „ისანი“, რომელიც განვლილ ტურში თავის მინდორზე შეხვდა ცხაკაიას „განთიადს“. პირველ ტაიმს თბილისელები აგებდნენ 1:2, ისინი შედარებით უკეთესად თამაშობდნენ მეორე ტაიმში და ანგარიშიც გათანაბრებულ იქნა — 2:2.

△

გორის „დილას“ თავისი მორიგი მატჩი ჰქონდა ქუთაისში ადგილობრივი „მშენებლის“ წინააღმდეგ. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნეს სტუმრებმა. მათ მიერ იქნა გატანილი მეორე ბურთიც და ქუთაისელებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სრული ძალით ამოქმედება. მათ ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს გორელთა კარში და მიაღწიეს ძნელ გამარჯვებას ანგარიშით 3:2.

△

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი წულუკიძეში ადგილობრივ „ფეიქარსა“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

△

კარგად ჩაატარა თავისი მორიგი მატჩი ფოთის „მეზღვაურმა“ სტალინირში. ფოთელებმა თითო ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს სპარტაკელთა კარში და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

△

ყვარლის „დურუჯმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „სპარტაკი“. სტუმრებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისში, რაც 2 გოლით დამთავრდა „დურუჯის“ კარში. შემდგომში სპარტაკელები დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, შეასუსტეს თამაში და ანგარიში უცვლელი დარჩა. საჭიროა აღინიშნოს, რომ სტადიონზე, კერძოდ, სამსაჯო ოთახში ადმინისტრაციამ ვერ შეძლო წესრიგის დაცვა.

გათამაშების მე-8 ტური

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 22 მაისისათვის

პირველი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ მახ.	8	6	2	0	25:8	14
„მეშახტე“ ტყიბ.	8	5	2	1	21-6	12
ფიზკ. ინსტ. თბ.	7	5	1	1	17:7	11
„განთიადი“ ბათ.	7	4	2	1	11:5	10
„იმერეთი“ ქუთ.	8	3	3	2	15:10	9
სკა თბილისი	8	3	3	2	12:9	9
„ბახმარო“ ჩოხ.	8	4	1	3	14:25	9
„შუქურა“ ქობ.	8	3	2	3	13:12	8
„მაღარ.“ ჭიათ.	8	3	2	3	12:11	8
„კოლხიდა“ ხობი	8	1	4	3	7:9	6
„სალხ.“ გეგეჭკ.	8	2	1	5	12:18	5
„კოლმ.“ თელ.	8	0	4	4	12:26	4
„მექ“. ადიგენი	8	1	1	6	7:18	3
„დინამო“ სოხუმი	8	0	2	6	7:17	2

მეორე ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხ.	8	7	0	1	24:10	14
„ვანი“. ცხაკ.	8	4	2	2	12:9	10
„სპარტაკი“ სტ.	8	5	0	3	11:12	10
„ლოკ“. სამტრ.	8	4	1	3	13:10	9
„ოდიში“ ზუგდ.	8	4	0	4	16:12	8
„სპარტაკი“ თბ.	7	3	2	2	5:4	8
„მესხ.“ ახალც.	7	3	1	3	14:10	7
„დილა“ გორი	8	3	1	4	11:11	7
„მეზღ.“ ფოთი	8	2	3	3	7:7	7
„მშენებ“. ქუთ.	8	2	3	3	10:13	7
„დურუჯი“ ყვარ.	8	3	1	4	11:16	7
„ფეიქარი“ წულ.	8	3	1	4	12:20	7
„ისანი“ თბ.	8	2	1	5	17:18	5
„სპარტ.“ რუსთ.	8	1	2	5	9:18	4

„ბ“ კლასში

23 მაისს ბობრუისკში, ბრესტსა და გომელში შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით.

თბილისის „ლოკომოტივი“ გომელში შეხვდა ადგილობრივ თანამოელთა გუნდს. თბილისელებმა ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს გამარჯვებას — 2:1.

ბობრუისკის „რიწამ“ თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა ბრესტში, სადაც ასევე ადგილობრივ „სპარტაკს“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 1:1. „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

ბობრუისკის გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტექნიკურ სახეობებში

სტალინირში სამ დღეს მიმდინარეობდა დოსააფ-ის საოლქო სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში. პირველ დღეს მოეწყო მოტოციკლეტისტთა შეჯიბრება. მათ უნდა გადაეალახათ 10 დაბრკოლება.

ამ სახეობაში საუკეთესო წარმატებას მიაღწია ქალაქის გუნდის წარმომადგენელმა რ. ხეთაგურმა, რომელმაც ყველა დაბრკოლება გადალახა 1 წუთსა და 24 წამში.

საინტერესო იყო სპარტაკიადის მეორე დღე. საერთო გუნდური პირველობა სატვირთო ავტომანქანების მძღოლთა შორის დაიპყრო № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდმა. ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ამ გუნდის წარმომადგენელმა ზ. ქოქოევმა.

შემდეგ ასპარეზობაში ჩაებნენ „მოსკვიჩის“ მძღოლები. პირველი ადგილი დაიპყრო ჩ. ჩოჩიევმა.

„პობედის“ მარკის მანქანებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა სტალინირის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის მეორე გუნდმა.

„ვოლგის“ მარკის მანქანების მძღოლთა შეჯიბრებაში უძლიერესი კვლავ ქალაქის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდი იყო. საუკეთესო დრო და ოსტატობა გვიჩვენა შ. დავითაშვილმა.

სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს გამოვიდნენ კეხვის, ერედვის, ქვაისის, ქალაქის საშუალო სკოლებისა და ქურთის ბავშვთა სახლის ნორჩი ავიამოდელისტები. წარმატებებს მიაღწიეს ქვაისის, კეხვის და ქალაქის სკოლების წარმომადგენლებმა.

ვ. მელქოევი



სურათზე: საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს — თბილისელ ი. რიაზანოვას მორიგ გამარჯვებას ულოცავს მისი მწვრთნელი ვ. სერებრიანიკოვი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

თბილისელი მოჭიდავეები წითელწყაროელები — ჩემპიონები

ამ დღეებში წითელწყაროს რაიონის სპორტსმენებს ესტუმრნენ თბილისის „დინამოს“ მოჭიდაველები.

პირველ დღეს ჭიდაობა შედგა სოფ. ქვემო ქედში. თავისუფალი ჭიდაობა დამთავრდა ანგარიშით 5,5:2,5 დინამოელთა სასარგებლოდ, ხოლო ქართული ჭიდაობა — 4:4.

საინტერესო იყო შეხვედრა წითელწყაროს სტადიონზე დინამოელებთან. მოჭიდაველთა შორის იყვნენ შ. ლომიძე, ი. ვალიშვილი, ვ. კორძაია და სხვანი. დინამოელებმა გაიმარჯვეს თავისუფალ ჭიდაობაში — 6:2 და ქართულ ჭიდაობაში — 5:3. თავი ისახელეს სპორტის ოსტატებმა ს. ჩიტაშვილმა და გ. დურიშვილმა. მორიგი შეხვედრა მოეწყო ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში. აქაც თავისუფალ ჭიდაობაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 6:2, ხოლო ქართულ ჭიდაობაში — წითელწყაროს გუნდმა — 5:3.

ამრიგად, დინამოელთა და წითელწყაროელთა ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში დამთავრდა 17,5:6,5 დინამოელთა სასარგებლოდ, ხოლო ქართული ჭიდაობა — 12:12.

რაიონის სპორტკავშირს გთავალსწინებული აქვს ასეთი შეხვედრები მოაწყოს სპორტის სხვა სახეობებშიც.

ე. ჯანუყარაშვილი

გაეშურნენ ლაშქრობაში

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყო 4-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-სოფ. გუჯარეთი (მანქანით), სოფ. გუჯარეთი-ჯამჯამას გადასასვლელი-ტანას ხეობა-სოფ. ლევიტანა—სოფ. ბოშური (ფეხით)-თბილისი (მანქანით).

ჯგუფის უმრავლესობა პირველად მონაწილეობდა ტურისტულ ლაშქრობაში. ლაშქრობას წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა. მისი მიზანი ის იყო, რომ მოლაშქრეებს სპორტის ამ ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში სისტემატურად მიეღოთ მონაწილეობა. მიზანი მიეწეულია — ლაშქრობის ყველა მონაწილემ გამოთქვა სურვილი ხშირად მოეწყოს ტურისტული გასვლები ქალაქგარეთ.

აგვისტოში განზრახულია მოეწყოს 8-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ბაკურიანი-ბორჯომი-სოფ. ქვაბისხევი-ლომის მთა-მეღრუკის გადასასვლელი-სოფ. ხანი-მაიაკოვსკი-ქუთაისი.

გ. ქათამაძე

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 66 (1702)

ჩვენი გაზეთის მკითხველი შ. კაპანაძე მცხეთიდან გვეკითხება: რას წარმოადგენს სლალომი წყალზე და აღიარებულია თუ არა იგი სპორტის სახეობად?

სლალომი წყალზე წარმოადგენს ბაიდარებით შეჯიბრების ერთ-ერთ სახეობას იმ განსხვავებით, რომ იგი ეწყობა ჩქარ მდინარეზე, რომელზეც ისე, როგორც სათხილამურო სლალომის ტრასაზე, ალმებით მონიშნულია რთული კარები, მოსახვევები. მათი დაძლევა მოითხოვს დიდ ოსტატობას, რადგან მორევები, მდინარის დინების სისწრაფე ხშირად თავის ნებაზე „ათამაშებს“ სპორტსმენს. შეჯიბრება საწყლოსნო სლალომში ეწყობა, როგორც ერთ, ისე ორადგილიანი ნავებით და გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულას მიიღებს.

სლალომი წყალზე ყველაზე მეტად გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ სახეობას მისდევენ ამერიკაშიც. ხშირად იმართება საერთაშორისო შეხვედრები და ნაციონალური ჩემპიონატები.

აქ დაბეჭდილი სურათი მოგვითხრობს საწყლოსნო სლალომში შეჯიბრების ამბავს. დახედეთ მას. როგორ დაუძაბავთ ყურადღება სპორტსმენებს, რომ მდინარემ არ გაიტაცოს ისინი, კარი არ გამოატოვებოს, თორემ მერე გვიანღა იქნება.

△

ბორელი მოსწავლე გ. ნარეკლიშვილი გვეკითხება: რამდენჯერ შეხვდნენ პირისპირ ერთმანეთს ვ. ბრუმელი და ჯ. თომასი და როგორია მათი „მატჩის“ ანგარიში.

ვ. ბრუმელი და ჯ. თომასი ერთმანეთს პირველად რომის ოლიმპიადაზე შეხვდნენ. მათი ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით, რომელმაც მოიპოვა ვერცხლის მედალი (ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა რ. შავლაყაძე). ეს იყო 1960 წლის 1 სექტემბერს.

ბრუმელისა და თომასის მეორე შეხვედრა შედგა 1961 წლის 17 თებერვალს, ნიუ-იორკში. ბრუმელმა დაძლია 220,9 სმ, თომასმა — 215,9 სმ. მესამე შეხვედრა შედგა 25 თებერვალს ისევ ნიუ-იორკში ამერიკის პირველობაზე. თომასმა დაძლია 213, 3 სმ, ბრუმელმა 218,4 სმ და გახდა აშშ-ს ჩემპიონი. მიმდინარე წლის 3 მარტს ისინი კვლავ ნიუ-იორკში მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს. ბრუმელმა დაამყარა ამერიკის რეკორდი დახურულ შენობათათვის — 222,1 სმ. თომასმა დაძლია — 208 სმ.

ამრიგად, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, ანგარიშია 4:0 ვ. ბრუმელის სასარგებლოდ.

△

ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს სურთ გაიგონ: როდის ჩატარდა პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომელი ქვეყნები ითვლებიან უძლიერესებად სპორტის ამ სახეობაში და ვინ არის მსოფლიოს უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელი დღეს?

1926 წელს ლონდონში ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც თავისი მასშტაბით აღემატებოდა ყველა: მანამდე ჩატარებულ ტურნირს — მასში მონაწილეობდა 7 ქვეყნის 30-მდე სპორტსმენი და სწორედ ამიტომ მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (იტტფ) იგი მსოფლიოს პირველობად ჩათვალა.

მას შემდეგ მსოფლიო პირველობები სისტემატურად ეწყობა, მაგრამ როგორც წესი, მხოლოდ ევროპის ქვეყნებში. 1939 წელს გამონაკლისის სახით იგი მოეწყო ქაიროში. ომის შემდეგ ჩემპიონატების გეოგრაფია საგრძნობლად გაიზარდა. იგი ტარდებოდა როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში: კერძოდ — 1952 წელს ჩემპიონატი გაიმართა ბომბეიში, 1956 წელს — ტოკიოში.

მაგიდის ჩოგბურთელების ერთ დროს ძლიერი გუნდები ჰყავდათ ინგლისს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთსა და რუმინეთს, მაგრამ ევროპამ თანდათან დათმო პოზიციები აზიის ქვეყნების წინაშე, სადაც განსაკუთრებით თავი გამოიჩინა იაპონიამ. მხოლოდ ერთი ევროპელი, განთქმული ჩოგბურთელი ქალი რუმინეთიდან ა. როზიანუ ინარჩუნებდა უძლიერესის სახელს. უკანასკნელ წლებში ფართოდ განვითარდა მაგიდის ჩოგბურთი ჩინეთში. აქაურმა სპორტსმენებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს, ხოლო დორტმუნდის მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებასაც მიაღწიეს. მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა 22 წლის ჟუნ-გო-ტუანმა, რომელმაც ერთეულთა შეხვედრებში ყველა მეტოქე დაამარცხა. სხვათა შორის, ჟუნგ-გო-ტუანი პირველია, რომელმაც ჩინელ სპორტსმენთა შორის მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტული.

△

ზუგდიდის რაიონის სოფ. კორცხელის საშ. სკოლის მოსწავლეს ფ. ჩემინავას სურს იცოდეს, თუ რატომ არ მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

სსრ კავშირის ჩემპიონი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში არ მონაწილეობს იმის გამო, რომ მატჩები ჩემპიონთა თასზე მიმდინარეობს დეკემბერ-იანვარსა და მარტში, მაშინ, როცა ჩვენ გუნდებს ან ახალი დამთავრებული აქვთ სეზონი, ან მხოლოდ იწყებენ საწვრთნელ ვარჯიშს სეზონის წინ. უცხოეთის უმრავლეს ქვეყნებში კი, როგორც ცნობილია, შუაგული საფეხბურთო სეზონი სწორედ ამ თვეებშია.

△

ალპინიზმის მოყვარულებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ნ. კოტიას, მ. მანიას და ბორჯომის საშუალო სკოლის მოსწავლე ე. გამყრელიძეს აინტერესებთ: საიდან წარმოიშვა ტერმინი „ალპინიზმი“? როდის და ვის მიერ ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ალპინიზმის განვითარებას? აპირებენ თუ არა საბჭოთა მთამსვლელები იერიში მიიტანონ მწვერვალ ჩომოლუნგმაზე?

ტერმინი „ალპინიზმი“ წარმოიშვა ალპების მთიანეთის სახელწოდებიდან, სადაც ხდებოდა სისტემატური და მრავალმხრივი ასვლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელთა მიერ.

სავარაუდოა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ძველთაგანვე იყო განვითარებული მთამსვლელობა, მაგრამ მას არ ჰქონდა დღევანდელისავით მკაცრად განსაზღვრული სპორტული ხასიათი. ქართული და მასთან ერთად, მთელი საბჭოთა ალპინიზმის დასაბამად მიჩნეულია 1923 წელი, როცა, 28 აგვისტოს 18 ალპინისტი პროფესორ გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით და მოხევე მეგზურის ი. კაზალიკაშვილის თანხლებით გადავიდა დევდორაკის ყინვარიდან და დაიპყრო მყინვარწვერი. უკან დაბრუნებისას გ. ნიკოლაძის ჯგუფს შეხვდა მთამსველელთა მეორე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ა. დიდებულიძე და რომელმაც აგრეთვე წარმატებით დაიპყრო მყინვარწვერი. ესაა ოფიციალური თარიღი და ფაქტები, საიდანაც იწყებენ საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას.

საბჭოთა და კერძოდ ქართული ალპინისტური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია მთელს მსოფლიოში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი და საპატიო გეგმაა ჩომოლუნგმას დაპყრობა.

△

სპორტის მოყვარულებს ა. აშუღოვს, ჯ. სილაგაძეს, ა. ლობჟანიძეს, აინტერესებთ, სად იმყოფება ამჟამად ცნობილი კალათბურთელი ვ. ახტაევი?

ვ. ახტაევმა კალათბურთის თამაშს თავი დაანება. იგი ამჟამად ალმა-ატაში ცხოვრობს.

26-28 მაისი

მონაკოვნირის სტენდი

რესპუბლიკის უძლიერეს მესტენდურეთა შეჯიბრება.

დასაწყისი 9 საათზე.

კასპის ასპარეზზე

კასპის სასოფლო მრეწველობის საქმიანობა ბოლო ლენინურ კონკურსზე „ბოლშევიკური ფეხბურთი“ — ... ლენინური პირველობა ... ობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 11 რაიონის 95 მოჭიდავე. შემადგენლობა ყველა წონით კატეგორიაში ძლიერი იყო და ორთაბრძოლებმაც თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: ა. ბარათაშვილი (ქუთაისი), უ. შეშაბერიძე (კასპი), მ. ჩუტკერაშვილი (გორი), კ. მონასელიძე (კასპი), კ. მჭედლიშვილი (კასპი), გ. მელიქოვი (ქუთაისი), გ. ნოზაძე (ხაშური) ... მარიამიძე (კასპი). გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო კასპის მოჭიდავეთა კოლექტივი.

ს. მაისურაძე

რედაქტორი ი. უგულავა.



31 მაისი — 1 ივნისი

ფანფარჯიში

საერთაშორისო შეხვედრა

უნგრეთი — საქართველო

დასაწყისი 19 საათზე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

26 მაისი

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 18 საათზე.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი ჩატარდება დღეს თბილისის ოფიცერთა სპორტული კლუბის სტადიონზე.

დასაწყისი 18 საათზე.

თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს, თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორს, დავით ლუარსაბის-ძე ფავლენიშვილს მისი მამის

ლუარსაბ დიმიტრის-ძე ფავლენიშვილის

გარდაცვალების გამო.

უსიტყვოდ...

ნახატი გ. დოლიძისა



ჟურნალ „სმენადან“.

ნახ. ი. ოვივიანისა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89 63 პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03943